ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №710

27 იანვარი 2016 წელი

ქალაქი რუსთავი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-19 მუხლის „ა“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669-ე დადგენილების მე-2 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 იანვრის N63 დადგენილების პირველი თავის პირველი მუხლის მე-9, მე-10 და მე-11 პუნქტების, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 დეკემბრის N661 განკარგულების და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქონების სააუქციონოდ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2015 წლის 07 დეკემბრის №5569-02 რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით (იჯარა) გასაცემი ობიექტების გეგმა დანართი №1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ რუსთავის საქალაქო სასამართლოში (რუსთავი, ბოსტან–ქალაქის ქუჩა №6) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით მაღლაკელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

	დანართი #1										
ლოტის #	**სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტის დასახელება / დანიშნულება**	**ფუნქციური ზონები**	**ს/კოდი**	**მდებარეობა / მისამართი**	**ფართობი (კვ.მ.) სიგრძე (მეტრი)**	**აუდიტის მიერ განსაზღვრული საწყისი საპრივატიზაციო საფასური (ლარი)**	**30%, ბე-ს ოდენობა (ლარი)**	**10%, ბიჯის ოდენობა (ლარი)**	**აუქციონის ფორმა (უპირობო ან პირობებიანი)**	**5%, სარგებლობის (იჯარა) უფლებით გადაცემის ქირის წლიური საწყისი საფასური (ლარი)**	**სარგებლობის უფლებით (იჯარა) გადაცემის ვადა**
#1	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტზ-1	02.04.02.438	ქალაქი რუსთავი, გამზირი მეგობრობა, N30, მიმდებარე ტერიტორია	1240 კვ/მ-დან 60 კვ/მ	5100	76.5	25.5	უპირობო	255	3 წელი